



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1128
12/06/2018

ქალაქი ბათუმი

1128-05-4-201806121138



„ახალციხიდან ბათუმამდე 220 კვ ორჯაჭვა ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის II სეგმენტის მესამე სექციის (კმ 40.8-კმ 52.6) ზემოქმედების არეალში მოხვედრილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე სარგებლობის ფაქტის დადგენის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის №2620 ბმანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად **ვბრძანებ:**

1. „ახალციხიდან ბათუმამდე 220 კვ ორჯაჭვა ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის II სეგმენტის მესამე სექციის (კმ 40.8-კმ 52.6) ზემოქმედების არეალში მოხვედრილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთებზე სარგებლობის ფაქტის დადგენის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის №2620 ბმანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) გიორგი ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის მდივანი;“.

ბ) ბრძანების მესამე პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

გ) ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლამე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized Georgian letters, is positioned to the right of the printed text.